


# საბა

საქართველოს კათოლიკეთა  
ყოველთვიური მაცნე

THE MONTHLY BULLETIN OF  
CATHOLICS OF GEORGIA - SABA


N5 (329) | 2023



მაისი  
საუარდის  
თვეა

30 წელი  
საგონივრულ  
ადმინისტრაცია

მაისი



ჩვენი ეკლესიის ცხოვრება... 3-4

კათოლიკე ეკლესია

მსოფლიოში..... 5-6

ინტერვიუ..... 7-8

იუბილე ..... 9-10

ჩანაწერი ..... I-IV

სოციალური გვერდი - Caritas Georgia ..... 11

ქრისტეს თანამედროვე მოწვევა ..... 12-13

ეკლესიის საბუნძურდან ..... 14-15


ახალგაზრდული გვერდი ..... 16

კათოლიკური კულინარია ..... 17

საბავშვო გვერდი..... 18

ინფორმაცია..... 19

- 1** მაისი - წმ. იოსებ მშრომელის დღე, უდის „ქვედა ეკლესიის“ საკრებულოს დღეობა
- 3** მაისი - წმ. ფილიპე და წმ. იაკობ მოციქულთა დღესასწაული
- 8** მაისი - კამილიელ დ. მარია ნიკოლოზის გახსენება (+ 2005)
- 11** მაისი - მ. იეჟი შიმეროვსკის გახსენება (+2016)
- 14** მაისი - წმ. მარია დომენიკა მაცარელოს, საღელ დედათა დამაარსებლის, ხსენება
- 18** მაისი - ამაღლება (ან კვირადღეს, 21 მაისს)
- 24** მაისი - მ. ივანე გვარამაძის გახსენება (+1912)
- 28** მაისი - სულთმოფენობა, ბათუმის ახალი ეკლესიის დღეობა
- 31** მაისი - მარიამის მონახულება



# ეს მხოლოდ პრიორიტეტის საკითხია!



ამბობენ, რომ კერძო რეპეტიტორობა მას შემდეგ არსებობს, რაც სასკოლო განათლების სისტემა დამკვიდრდა; მასხოვს, ბავშვობაში, კერძო რეპეტიტორი მხოლოდ მას სჭირდებოდა, ვისაც სწავლა უჭირდა და ამის გამხელა მაშინ სირცხვილიც კი იყო; სახლში ბავშვს ეხმარებოდნენ მშობლები, და-ძმები, ან ბიძაშვილები, ვისაც როგორ შეეძლო. მაგრამ, 21-ე საუკუნის დადგომასთან ერთად, კერძო გაკვეთილებმა შეიძინა სასიცოცხლო, თითქმის აკვიატებული მნიშვნელობა ბავშვებისა და მოზარდების სწავლაში. უფრო მეტად გაძლიერდა მოსაზრება, რომ რეპეტიტორობა ყველა სირთულის ან თუნდაც უკეთესი მოსწრების პანაცეაა: დამატებითი სასკოლო სერვისი და არა მისი შემცველი, როგორც აცხადებენ. მაგრამ ასეა სინამდვილეში? მაგალითად, საქართველოში, როგორც ჩანს, სასკოლო გაკვეთილებს, განსაკუთრებით ბოლო სასწავლო წლებში, აღარ აქვს ფასი: მთავარია, კერძო რეპეტიტორთან წახვიდე... და ფული გადაიხადო! **ამასობაში კი სკოლა...**

თითქოს ესეც არ იყოს საკმარისი, ამას ემატება ცურვის, ჭიდაობის, ფეხბურთის, თეატრის, ხატვის, ცეკვის, უცხო ენების ან კომპიუტერის

შემსწავლელი წრეები, არც დაბადების დღეებს ივიწყებენ; ბავშვის დღის განრიგი ისეა გადატვირთული, როგორც ყველაზე ცნობილი მენეჯერის; არადა, ჯერ კიდევ არა აქვთ ხმის მიცემის უფლება! **ამასობაში კი ოჯახი...**

ნუთუ ამგვარი ზეექტივობა უკიდურესად არ მოქმედებს ბავშვებისა და მოზარდების ცხოვრებაზე? რა თქმა უნდა, მშობლებს სურთ, რომ შვილებს რაც შეიძლება მეტი სტიმული მისცენ, რომ საუკეთესო იარაღით აღჭურვილნი შეხვდნენ ცხოვრებას, თავდაჯერებულ ზრდასრულებად იქცნენ, ებრძოლონ სოციალურ უთანასწორობას, მზად იყვნენ საზოგადოების მოთხოვნებზე საპასუხოდ... და რომ მთელი თავისუფალი დრო კომ-

## მამა ბაბრიელ ბრაბანტინი CSS

სტიმბატული, ეპისკოპოსის  
ვიკარი ეკუმენიზმისა  
და კულტურის დარგში,  
წინამძღვარი (ქუთაისი,  
ბათუმი, ოზურგაეთი)



# რედაქტორის გვერდი

პიუტერთან ან ქუჩაში არ გაატარონ! მაგრამ, თუკი ბავშვის ადეკვატური სტიმულირება დადებითი მიდგომაა, მისი ვალდებულებებით გადატვირთვა საპირისპირო შედეგს ხომ არ მოიტანს? ხომ არ აისახება მშობლების აუხდენელი სურვილები და მოლოდინი მათ შვილებზე? განა აუცილებელი არ არის, რომ ბავშვებსა და მშობლებს შორის დრო დარჩეს დიალოგისთვის, მცირე თუ დიდი გამოცდილების გასაზიარებლად? განა არ იქნება ეს დიდი სიხარულისა და ზრდის მიზეზი როგორც მშობლებისთვის, ასევე ბავშვებისთვის? რამდენი საათი რჩება ოჯახური ცხოვრებისათვის? და მთელ ამ ორომტრიალში ვინ ფიქრობს ბავშვების, მოზარდებისა და ახალგაზრდების სარწმუნოებრივ აღზრდაზე? გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ბევრ ოჯახში, რომლებიც თავს კათოლიკეებად მიიჩნევენ, საკვირაო წირვისთვის, კატეხეზებისა და სულიერი შეხვედრებისთვის... ამჟამად უკვე აღარ რჩება სივრცე და დრო, იმედი გვაქვს, ასე არ არის, და არც ინტერესი გაქრება. **ამასობაში კი კათოლიკე ეკლესია საქართველოში...**

თუ ოდესღაც „კომუნისტურ-სოციალისტური“ იდეოლოგია იყო დაკავებული ბავშვებისა და ახალგაზრდების აღზრდა-განვითარებით, დღეს უკვე ცხოვრების სხვა წესი უთხრის ძირს მათ ცხოვრებას; უნინ ამბობდნენ, რომ „ღმერთი არ არსებობს“ და ამიტომაც აზრი არ ჰქონდა ლოცვას, ეკლესიის ცხოვრებაში მონაწილეობას... დღეს აღარ ვამბობთ, რომ ღმერთი არ არსებობს, უბრალოდ ვაცხადებთ, რომ დრო აღარ გვაქვს მისთვის, ეკლესიისთვის... ნუთუ ასე ძნელია დღის იმგვარად დაგეგმვა, რომ დარჩეს დრო ქრისტიანული აღზრდისათვის? საბოლოოდ, ეს მაინც ადამიანის არჩევანის, პრიორიტეტის საკითხია; მაგრამ ვინ ეხმარება მას ამაში? ფაქტობრივად, ახალი თაობა ჩვენ თვალწინ ისე იზრდება, თითქოს ღმერთი, რომელიც არსებობს, არ არსებობდეს მათ კონკრეტულ ცხოვრებაში, კათოლიკე ეკლესიის ცხოვრების გარეშე, მშობლების გულგრილობის ან ტანჯვის ფონზე... თუმცა შვილი ხომ ეყოლებათ კარგი პროგრამისტი, დიდი ფეხბურთელი, ცნობილი მოცეკვავე...



## ჰელენ ალფორდი - საზოგადოებრივ მეცნიერებათა კონტიფიკური აკადემიის ახალი პრეზიდენტი



ჰაპმა ფრანცისკემ საზოგადოებრივ მეცნიერებათა პრეზიდენტის თანამდებობაზე ინგლისელი მონაზონი, ჰელენ ალფორდი დანიშნა. და ჰელენი კემბრიჯის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია (მენეჯმენტისა და იჟინერინგის სპეციალობით). იქვე მიიღო მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. ასწავლიდა თომა აკვინელის პაპის უნივერსიტეტში, საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრაზე. გარდა ამისა, დომინიკელი მონაზონი საქმიანი ეთიკის საერთაშორისო ექსპერტი და რამდენიმე სამეცნიერო და ბიზნეს გამოცემის სარედაქციო საბჭოს წევრია. აკადემიის პრეზიდენტის თანამდებობაზე დანიშვნამდე იყო თომა აკვინელის უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის დეკანი.

## დასრულდა სინოდური გზის მეორე ეტაპი

31 მარტს ოფიციალურად დასრულდა სინოდური გზის მეორე, კონტინენტალური ეტაპი. ის შედგებოდა შვიდი ასამბლეისგან, რომელთა მსვლელობისას მონაწილეებმა განიხილეს უმნიშვნელოვანესი საკითხი: როგორ ვლინდება დღეს ეკლესიის ერთობა და, მასზე დაკირებული მისიის თანახმად, როგორ აუწყებს იგი ადგილობრივ და საყოველთაო დონეებზე სახარებას? შეხვედრების შედეგები ასახულია შვიდ დასკვნით დოკუმენტში,

რომლებიც საფუძვლად დაედება ეპისკოპოსთა სინოდის გენერალური ასამბლეის პირველ სესიას (2023 წ. 4-29 ოქტომბერი). 12-19 აპრილს ვატიკანში ექსპერტთა საერთაშორისო ჯგუფმა განიხილა სინოდის მეორე ეტაპის შედეგები და დასკვნითი დოკუმენტები, გამოყო საჭირობოროტო საკითხები და პრიორიტეტები და ამის საფუძველზე შეიმუშავა Instrumentum Laboris - სამუშაო დოკუმენტი ეპისკოპოსთა სინოდის მომავალი ასამბლეისთვის.

## „მსხვერპლისა და აბრეხორის ბათინაბრების მსდელიობა“

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ოლეგ ნიკოლენკომ თავის Facebook გვერდზე შემდეგი განცხადება გამოაქვეყნა: „გუშინ, ვნების პარასკევს, რომში გაიმართა დიდი რელიგიური მსახურება - ჯვრის გზა, რომელიც სიკეთის ბოროტებაზე, ნათლის ბნელზე, რწმენის სასონარკვეთილებაზე გამარ-



ჯვების სიმბოლოა. დიდად მაღლიერები ვართ პაპ ფრანცისკესი მისი ზრუნვისთვის უკრაინისა და უკრაინელებისათვის. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ წლევეანდელი ჯვრის გზა კვლავ მოიქუფრა მსხვერპლისა და აგრესორის გათანაბრების მცდელობით. საუბარია ორ წერილზე, რომელიც ჯვრის გზის მსვლელობისას იქნა წაკითხული: უკრაინელი მოზარდის, რომელმაც რუსების ჯარის მიერ მარიუპოლის დაკავების შემდეგ იტალიას შეაფარა თავი, და რუსი ბიჭის, რომლის ძმა, სამხედრო მოსამსახურე, დაიღუპა, მამა და ბაბუა კი, უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის დამპყრობლური ომის მონაწილეები, უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ. განზილებულები ვართ იმის გამო, რომ წმიდა საყდარმა არ გაითვალისწინა უკრაინული

მხარის არგუმენტები ამ შესტის შეურაცხმყოფელი ხასიათის შესახებ. უკრაინელისა და რუსის ერთობლივი მონაწილეობა ამრუდებს სინამდვილეს, რომელშიც რუსეთი უკრაინელთა გენოციდს განახორციელებს. მეტიც: ამგვარი ნაბიჯი არყვეს სამართლიანობისა და ზოგადსაკაცობრიო ზნეობის პრინციპებს და ზიანს აყენებს მშვიდობისა და ძმობის კონცეფციას. ტანჯულ უკრაინასა და ტანჯულ რუსეთს შორის ტოლობის ნიშნის დასმის მცდელობა ხელს არ უწყობს შერიგებას. შერიგება შესაძლებელია მხოლოდ უკრაინის გამარჯვების, ყველა რუსი დამნაშავის დასჯის, მიყენებული ტანჯვის გამო სინანულისა და პატიების თხოვნის შემდეგ. იმედი გვაქვს, რომ შემდგომში წმიდა საყდარი აირჩევს მიდგომას, რომელიც დაეფუძნება სამართლიანობის სიღრმისეულ გაგებას და პასუხისმგებლობას უკრაინაში მშვიდობის აღდგენისა და სამართლიანობის დამყარებისთვის“.

## ორთბას რეჟიმის სააღდგომო ეზიკუციები

ვნების კვირას ნიკარაგუაში „რელიგიურ ღონისძიებათა რეგულაციების დარღვევის“ ბრალდებით ორტეგას რეჟიმმა ოცზე მეტი ადამიანი დააკავა. 5 აპრილს, მორწმუნეთა მსვლელობის facebook-ტრანსლაციის გამო, დაპატიმრებულია ნიკარაგუელი ჟურნალისტი ვიქტორ ტიკაი. „ორტეგასა და მურილიოს რეჟიმი აგრძელებს კათოლიკე ეკლესიის სასტიკ დევნას. ვნების კვირა აქამდე არნახული რეპრესიების ტალღით აღინიშნა. ეს არის რეჟიმი, რომელსაც უდანაშაულოთა სისხლი სწყ-



ურია“, - განაცხადა ყოფილმა პოლიტპატიმარმა, ნიკარაგუის თავისუფლების ფონდის დამაარსებელმა და პრეზიდენტმა ფელიქს მარადიამ.

მთავრობამ კათოლიკე ეკლესიას ქალაქ სან-პედრო-დე-ლოვაგოში მდებარე ქალთა მონასტერი ჩამოართვა. ხელისუფლების განცხადებით, მონასტრის შენობა და მიწა სარგებლობაში გადაეცემა ნიკარაგუის სოფლის მეურნეობის ინსტიტუტს. გარდა ამისა, დიქტატორულმა ხელისუფლებამ ქვეყნიდან გააძევა მონაზვნები, რომლებიც გრანადის ეპარქიის კუთვნილ მოხუცებულთა თავშესაფარს უძღვებოდნენ.

## ჩინეთი: აპლიკაცია მორწმუნეთა კონტროლისთვის



ამერიკული ქრისტიანული საქველმოქმედო ორგანიზაცია ChinaAid იტყობინება, რომ ქენანის პროვინციის მცხოვრებლებს ამერიიდან ღვთისმსახურებაზე დასასწრებად სახელმწიფო აპლიკაციაში „Smart Religion“ რეგისტრაცია ევალებათ. ღვთისმსახურებაზე დასწრების ნებართვის მისაღებად აპლიკაციის შევსებისას მსურველმა უნდა მიუთითოს გვარი, სახელი, საიდენტიფიკაციო ნომერი, ასაკი, სამუშაო ადგილი, ტელეფონის ნომერი და სხვა. ამის შემდეგ იგი მიიღებს „ჯავშანს“ წირვაზე დასწრებისთვის. ChinaAid-ის განცხადებით, ჩინეთის კომუნისტური რეჟიმის ხელში ეს აპლიკაცია მორწმუნეთა შესახებ მონაცემთა შეგროვებისა და კონტროლის განხორციელების კიდევ ერთი საშუალებაა.

# ინტერვიუ პაპ ფრანცისკესთან

## კორუფცია ეკლესიაში მის მსახურ-თა პედოფილიაშიც გამოიხატება?

ბენედიქტე XVI-ის დიდი დამსახურებაა, რომ საჯაროდ დაგმო ეს უდიდესი სკანდალი, როდესაც ჯერ კიდევ კარდინალი იყო. ყველას გვახსოვს მისი სიტყვები: „რამდენი სიბინძურეა ეკლესიაში და ზუსტად მათ შორის, ვინც სამღვდელთაში მყოფი, მთლიანად მას უნდა ეკუთვნოდეს!“. პაპს ეყო არა მხოლოდ დიდი გამბედაობა დაეგმო ეს ყოველივე, თანაც იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ ამდენს არ ლაპარაკობდნენ ამაზე, როდესაც ჯერ კიდევ სრულად არ იყო გაცნობიერებული ეს სისაძაგლიე, არამედ როგორც კარდინალმა და შემდეგ როგორც პაპმა, მთელი ძალით გაილაშქრა დუმილისა და დაფარულობის წინააღმდეგ, რომელიც ათწლეულების მანძილზე ხელს აფარებდა მათ, ვინც ეკლესიაში ამ შეურაცხყოფას სჩადიოდა. მეც გავყევი მის მიერ გაკვალულ გზას. ამ საკითხში მკაფიო პოზიცია უნდა გვქონდეს: ეკლესიაში ძალადობის თუნდაც ერთი შემთხვევა თუ გამოვლინდა, რაც უკვე თავისთავად საშინელებაა, ამ საქმეს ყოველთვის უდიდესი სერიოზულობით მოვეკიდებით.

## 2019 წლის თებერვალში გამართული მსოფლიო სამიტი სასულიერო პირთა პედოფილიის შესახებ და მისგან გამომდინარე ყველა რეფორმა ფუნდამენტური იყო.

ერთმა რამემ გამაკვირვა ამ სამიტზე. მე ვთხოვე ეპისკოპოსთა კონფერენციების თავმჯდომარეებს მთელი მსოფლიოდან, რომ მოესმინათ დაზარალებულთათვის და მომზადებულიყვნენ შეხვედრისათვის. ბევრმა მათგანმა მითხრა, რომ მანამდე არასოდეს მოუსმენიათ მათთვის და რომ ისინიც მათთან ერთად ტიროდნენ: ეს მადლიერების ცრემლია. მიმაჩნია, რომ ეს იყო მენტალიტეტის ყველაზე მნიშვნელოვანი და რადიკალური ცვლილება ეკლესიაში ძალადობის წინააღმდეგ: დაწყებული მსხვერპლთა მოსმენით. მოძღვრისთვის ეს აუცილებელია. ბენედიქტე XVI-მ მსხვერპლთა მოსმენა თავისი საერთაშორისო მოგზაურობის დროს დაიწყო. გაზიარება მოძღვრის მხრიდან: აქედან უნდა დავიწყეთ. ეკლესიაში ადგილი არ არის მათთვის, ვინც ამ საზიზღარ ცოდვას სჩადის ღვთისა და ადამიანთა წინაშე. მაგრამ პედოფილია ასევე არის დანაშაული, რომელსაც სამართალი უნდა



სჯიდეს. ძალადობის დაფარვა ჩვეულებრივი პრაქტიკაა. წარმოიდგინეთ, რომ ძალადობის შემთხვევათა 40 % ოჯახებსა და სამეზობლოში ხდება, და ეს ყველაფერი დაფარულია. ასეთი ჩვევა ჰქონდა ეკლესიასაც 2002 წლის ბოსტონის სკანდალამდე. სწორედ მაშინ გააცნობიერა ეკლესიამ, რომ იგი ვეღარ დამალავდა თავისი მღვდლების პედოფილიას; ეს ჩვევა ჯერ კიდევ არსებობს ოჯახებსა და სპორტულ სამყაროში. კიდევ ერთი რამ, რაზეც მინდა ყურადღება გავამახვილო, არის ბავშვთა ვიდეოპორნოგრაფიის პრობლემა. სად ხდება ეს? ვინ არიან ისინი, რომლებიც ამის ნებას აძლევენ საკუთარ თავს და არანაირ წინააღმდეგობას არ ხევენ ხელისუფალთა მხრიდან? ეს ძალიან ცუდია, რადგან ბავშვთა ვიდეოპორნოგრაფია ბავშვებთან ერთად კეთდება.

## რას ისურვებდით მომავალში?

მშვიდობას. მშვიდობას განადგურებულ უკრაინასა და ყველა სხვა ქვეყანაში, რომლებიც განიცდიან ომის საშინელებას; ომი ყოველთვის დამარცხებაა ყველასთვის. ომი აბსურდული და უღმობელია. კომპანია, რომელსაც პანდემიის დროსაც კი არ შეხებია კრიზისი, იარაღის მწარმოებელი ქარხანაა. იღვანო მშვიდობისთვის - ნიშნავს არ ჩადო ინვესტიცია სიკვდილის ამ ქარხნებში. მტანჯავს ფიქრი: ერთი წლის მანძილზე იარაღი რომ არ დამზადდეს, მსოფლიოში შიმშილი დასრულდებოდა, ვინაიდან იარაღი პლანეტის უდიდესი ინდუსტრიაა. გასული წლის 8 დეკემბერს, ესპანეთის მოედანზე, უკრაინელი ხალხის ტრაგედიამ ამატირა. უკრაინა-

ში ომის დაწყებიდან უკვე წელიწადზე მეტი გავიდა. თებერვალში ვიყავი აფრიკაში, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სამხრეთ სუდანში და ვნახე ამ ორ ქვეყანაში გაჩაღებული კონფლიქტის საშინელება, დასახიჩრებული ხალხი. ერთი რამ, რაც ძალიან მანუხებს, გულგრილობის გლობალიზაციაა, თავს რომ აარიდებ და იტყვი: „მე რა შუაში ვარ? არ მაინტერესებს! ეს ჩემი პრობლემა არ არის!“. როდესაც ჰკითხეს სენატორ ლილიანა სეგრეს, რომელმაც ჰოლოკოსტის საშინელება გადაიტანა, რომელ სიტყვას დაწერდა მილანის სადგურის 21-ე ბაქანზე, საიდანაც მატარებლები ნაცისტური საკონცენტრაციო ბანაკებისკენ გადიოდნენ, მან უყოყმანოდ თქვა: „გულგრილობა“. არავინ ფიქრობდა ამ სიტყვაზე, არადა დასაფიქრებელია, ვინაიდან მილიონობით ადამიანის ხოცვა-ჟლეტა ნორედ იმ მრავალი ადამიანის გულგრილობის გამო მოხდა, რომლებმაც ამჯობინეს ზურგი შეექციათ და ეთქვათ: „მე რა შუაში ვარ?“. ახლახან ნავიკითხე, სენატორმა გაიხსენა, რომ ოსვენციმში მიდიან არა სამოგზაუროდ, არამედ როგორც ნმიდა სალოცავში, რათა არ დაივიწყონ ჰოლოკოსტი. ამან გამაოგნა, რადგან სწორედ იმავეს ვგრძობდი ჩემს გულში, როდესაც გავემგზავრე ოსვენციმში 2016 წელს და არ მინდოდა სიტყვა წარმომეთქვა, ჩემი ორი წინამორბედის მსგავსად. მსურდა მდუმარედ მარტო მელოცა.

### რას უსურვებდით ეკლესიას?

ეკლესია გარეთ უნდა გამოვიდეს, ხალხს შორის უნდა იყოს. მასხენდება დონ ტონინო ბელო, დიდი აპულიელი ეპისკოპოსი, რომელიც თავის ხალხს შორის იდგა და მთელი ძალით იბრძოდა მშვიდობისათვის. თავის დროზე ამ ადამიანს ვერ გაუგეს, რადგან ბევრად წინ იყო. დღეს იგი ხელახლა აღმოაჩინეს. წინასწარმეტყველი! ის უკვე პატივდებულია და მალე ნეტარად შეირაცხება. ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთ სიმღერაშიც კი გაახშიანეს მისი ცნობილი ფრაზა: „ჩვენ ცალფრთა ანგელოზები ვართ. ფრენა თუ გვინდა, ძმებს უნდა ჩავვხუტოთ, ვისაც ფრთას ვათხოვებთ და ვისგანაც მეორე ფრთას მივიღებთ, ფრენისთვის საჭირო ფრთას“. თავისთავად ვერავინ გადარჩება. ეს პანდემიამაც დაგვანახა. მე ვოცნებობ ეკლესიაზე, სადაც არ იქნება კლერიკალიზმი. კარდინალი ანრი მარი დე ლუბაკი თავის ცნობილ ტექსტში „Méditation sur l'Église“ წერდა, რომ რაც შეიძლება ყველაზე ცუდი დაემართოს ეკლესიას, არის ამქვეყნიური სულიერება, რომელიც მღვდლის კლერიკალიზმში აისახება. „ეს უფრო მეტად დამლუპველი იქნებოდა, ვიდრე ნებისმიერი ამქვეყნიური მარტივი მორალი“. კლერიკალიზმი ყველაზე უარესია, რაც კი შეიძლება ეკლესიას დაემართოს, იმაზე უარესი,

ვიდრე კორუმპირებული პაპების დროს იყო. მღვდელი, ეპისკოპოსი ან კარდინალი, რომელიც კლერიკალიზმით ავადდება, ძლიერ აზიანებს ეკლესიას. ეს მეტად გადამდები დაავადებაა. კიდევ უარესები არიან კლერიკალიზმით შეპყრობილი ერისკაცები: ისინი ეკლესიისთვის მავნებლები არიან. ერისკაცი უნდა დარჩეს ერისკაცად.

### და ბოლოს, რას უსურვებთ საკუთარ თავს მომავალში?

უფალმა შემინყალოს. რომის პაპობა ადვილი როდია. აქამდე არავის უსწავლია, როგორ უნდა გაართვას თავი ამ სამსახურს. მაგრამ უფალმა იცის ეს: ასე დაემართა წმიდა პეტრესაც. მშვიდად თევზაობდა და ერთ დღესაც იესომ მოუხმო, რათა ადამიანთა მებადური გამხდარიყო. თუმცა პეტრეც დაეცა. მან უარყო უფალი, სწორედ მან, ვინც დღე-ღამე მასთან ცხოვრობდა, მასთან ერთად ჭამდა, უსმენდა მის ქადაგებას და ხედავდა მის მიერ მოხდენილ სასწაულებს: „არ ვიცნობ იმ კაცს!“ ნუთუ ეს შესაძლებელი იყო? მაგრამ იესომ, აღდგომის შემდეგ, კვლავ აირჩია იგი. აი, ჩვენდამი გამოჩენილი ღვთის გულმონყალება. ასეა რომის პაპის შემთხვევაშიც. „Servus usinus sum“ - „უსარგებლო მსახური ვარ“- როგორც წმიდა პავლე VI წერდა თავის მედიტაციაში „ფიქრები სიკვდილზე“. ეს ძალიან საინტერესო ტექსტია და განსაკუთრებით მღვდლებს ვურჩევ, რომ წაიკითხონ და დაფიქრდნენ მასზე.

### მადლობა თქვენო უწმინდესობაზე.

მადლობა თქვენ და თქვენს კოლეგებს განუწელი სამუშაოსთვის. მინდა თქვენი გაზეთის *ilfattoquotidiano.it* მკითხველებს მივმართო: არასოდეს დაკარგოთ იმედი! მაშინაც კი, თუ ცუდი რამ შეგემთხვავთ, თუნდაც ის არასასიამოვნო გამოცდილება, რაც სასულიერო პირთან, კაცთან თუ ქალთან, გექნებათ, გავლენას არ ახდენდეს თქვენზე. უფალი ყოველთვის ხელგაშლილი გელოდებათ. გისურვებთ, გამოსცადოთ ეს თქვენს ცხოვრებაში ისე, როგორც მე არაერთხელ გამოვცადე. უფალი ყოველთვის გვერდში მედგა, განსაკუთრებით მძიმე წუთებში. ის ყოველთვის გვერდითაა. არასდროს დაივიწყოთ ეს! უფალი ნაზად გვიყვანს ხელში და ყოველი დაცემისას წამოგვაცენებს. მთავარი ის კი არაა, რომ არ დავეცეთ, არამედ არ დავრჩეთ დაცემულნი. უფალი ყოველთვის მოგვითევებს. პაპს უყვარხართ და ლოცულობს თქვენთვის. ვინც ლოცულობს, ვთხოვ, ჩემთვის ილოცოს, ხოლო ვინც არ ლოცულობს, კეთილი მაინც მისურვოს, ეს მჭირდება. მადლობა!

ესაუბრა ფრანჩესკო ანთონიო ბრანბა დანასრული, დანასწყისი „საბა“ #4 (328)



# PACEM IN TERRIS - მშვიდობა დედამიწაზე

60 წლის წინ, 1963 წლის 11 აპრილს, მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ენციკლიკა გამოქვეყნდა, ეს იყო თითქმის „ახალი სამყაროს მანიფესტი“ - „Pacem in teris“, იოანე XXIII-ის სულიერი ანდერძი, რომელიც 3 ივლისს, მისი გარდაცვალებიდან ორმოცდათხუთმეტი დღის შემდეგ, გაცხადდა. ეს ენციკლიკა არაერთხელ გაუხსენებია რომის პაპს, ფრანცისკეს, პეტრესეული მსახურების ამ ათწლეულში, ხშირად იხსენებს მას უკრაინის ომთან დაკავშირებით, - და არა მხოლოდ - სულიერი სიახლოვე იგრძნობა მისი ენციკლიკის „Fratelli tutti“ ბევრ პასაჟში.

„Pacem in teris“ - ეკლესიის სწავლების დოკუმენტი, რომლის პირველი ადრესატი გახლდათ „კეთილი ნების ყველა ადამიანი“, რამდენიმე საკითხს ეხებოდა. მასში განხილული იყო სამშვიდობო შესაძლებლობა, ოთხი ფუნდამენტური სიკეთის შუქზე: ჭეშმარიტება, სამართლიანობა, სოლიდარობა და თავისუფლება, ყველა ის ქვაკუთხედი, რომლებიც აწესრიგებენ ურთიერთობებს როგორც ცალკეულ ადამიანთა, ისე პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის.

ამ ენციკლიკით პაპი გმობდა იარაღის გამოყენებას, როგორც ბირთვულ ეპოქაში კონფლიქტის გადაწყვეტის საშუალებას; უფრო მეტიც, უგულბელყოფდა არა მხოლოდ მათ გამოყენებას, არამედ ფლობასაც. მოუწოდებდა სრული განიარაღებისაკენ და აუქმებდა „სამართლიანი ომის“ (სამწუხაროდ, ხელახლა გამოჩენილი) დოგმას. მშვიდობას იგი მოიაზრებდა როგორც არა მხოლოდ ომის არარსებობას, არამედ საგანმანათლებლო, სულიერი, პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესის მიზანს. ენციკლიკაში გამოყოფილი იყო „შამთასვლის ნიშნები“ - დაწყებული მუშათა კლასის სოციალურ-ეკონომიკური აღზევებიდან, დამთავრებული ქალთა ემანსიპაციით, პოლიტიკური დამოუკიდებლობიდან ნებისმიერი დისკრიმინაციული უსამართლობის გაცნობიერებამდე... - მშვიდობის ნიშნები, ასევე საშუალებები,



რომლითაც ისტორია სახარების გვერდებს გადაფურცლავს.

ენციკლიკა აღიარებდა 1948 წლის საყოველთაო დეკლარაციას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპს, რომელიც შეახსენებდა არა მხოლოდ ადამიანის უფლებებს, არამედ ყველა მათგანს აკონკრეტებდა და პრიორიტეტს ადამიანის ღირსებას ანიჭებდა; მოუწოდებდა ძალისხმევასკენ საერთო კეთილდღეობისთვის, რომელიც „წარმოადგენს ეროვნული და საერთაშორისო საჯარო ხელისუფლების საფუძველს“. მომავლის საქმედ აღიქვამდა მორწმუნეთა და არამორწმუნეთა თანამშრომლობას, თუნდაც იმ განსხვავების ფონზე, რაც შეცდომასა და ცდომილს შორის, მოძრაობებსა და იდეოლოგიებს შორის არსებობდა (განსხვავე-

# Pacem in Terris



## John XXIII

ENCYCLICAL LETTER ON ESTABLISHING UNIVERSAL  
PEACE IN TRUTH, JUSTICE, CHARITY, AND LIBERTY

ბები მოგვიანებით დაიგმო ეკლესიის შიგნით და მის გარეთ).

როგორ გაჩნდა „ქრისტიანული ჰუმანიზმის ეს დიდი ქარტია“? იოანე XXIII-ის ერთგულმა მდივანმა, კარდინალმა ლორის ფრანჩესკო კაპოვილამ, რომელიც 2016 წელს აღერსულა 100 წლისა, ენციკლიკის წინაპირობად 1962 წლის ოქტომბრის კუბის სარაკეტო კრიზისი დაასახელა, როდესაც მსოფლიო ბირთვული კონფლიქტის ზღვარზე აღმოჩნდა. ამ ვითარებაში, როცა აშშ და სსრკ, დისტანციური კონფრონტაციის შემდეგ, მზად იყვნენ ერთმანეთს დაპირისპირებოდნენ, ტყუილად არ ჩაუვლია ვატიკანის დიპლომატიურ მუშაობას და რომის პაპის, იოანე XXIII-ის 25 ოქტომბრის მიმართვას, სწორედ მას შემდეგ გადაწყვიტა პაპმა თავისი პონტიფიკატის დარჩენილი წლები მშვიდობისათვის ბრძოლისთვის მიეძღვნა.

შეუძლებელია დაგვაავიწყდეს ორი მსოფლიო ომი პაპის მოღვაწეობის პერიოდში. გვანცვიფრებს მისი სიტყვები, რომლებიც მან დაწერა

1909 წელს, ბერგამოში (იტალია) გაფიცვის დროს, როდესაც ის ქალაქის ეპისკოპოსის მდივანი იყო; ამ სიტყვებით მოგვმართავს იგი ენციკლიკაში „Pacem in terris“: „მშვიდობა უპირველეს ყოვლისა. მშვიდობა არის მშვიდი წესრიგი, ხოლო წესრიგი ნიშნავს სამართლიანობასა და თითოეულის უფლებების პატივისცემას“. მჭევრმეტყველურია 1939 წელს წარმოთქმული მისი სიტყვები: „მშვიდობა, თუნდაც არასრული, ნებისმიერ გამარჯვებაზე ღირებულია“; და კიდევ, მომდევნო წელს: „ომი უზარმაზარი საფრთხეა. ქრისტიანისთვის, რომელსაც სწამს იესო და მისი სახარება, ეს არის უსამართლობა და დაპირისპირება“.

დღეისათვის ცნობილია ტექსტის შედგენის პროცესი, პაპის მიერ მიღებული ვერსიები იმ ექსპერტებისგან, რომელთაც იგი დაუპირისპირდა (მათ შორის, ალტერნატიული სამსახურის უფლებაზე პარაგრაფის გაუქმება, რაც მალევე აღიარეს ქრისტიანულ გარემოში). თავის დღიურში, 1963 წლის 7 იანვარს, პაპი აღნიშნავდა: „შემდეგ მთელი „მწუხრი“ ვაკურთხე, ლამის სამი საათი დაყვავი სააღდგომო ენციკლიკის კითხვაში, რომელსაც ვამზადებდი... ნავიკითხე ყველაფერი, მარტომ, მშვიდად და ძალიან დეტალურად. ვლოცულობ ამ დოკუმენტის შედგენისათვის, ვიმედოვნებ, რომ აღდგომას გამოვა...“. როგორც ცნობილია, პაპმა შეძლო ენციკლიკის გამოცემა წმიდა კვირის მანძილზე, მან გაიმარჯვა დროსთან, არაერთ დაბრკოლებასთან, თავის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან ჭიდილში, რამეთუ მშვიდობის მეუფეს მიანდო თავი. 1963 წლის 15 აპრილს დაწერილ დღიურში ვკითხულობთ: „აღდგომიდან გახარებული გამოვედი, თუმცა გასტროპათიული პრობლემებით შელახული. მშვიდი წმიდა წირვა სახლში, შემდეგ ღვთის ხელთ მინდობა. ენციკლიკა (...) აღიარებული, როგორც არასდროს“. ორიოდე სიტყვით გავიხსენოთ ავადმყოფობის შესახებ, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა, მისი შეუვალე ხასიათი, რწმენასთან შესისხლხორცებული, და მისი საბოლოო ძღვენის გამოცხადილი, - ოდნავ შეცვლილი, - რომელიც ჯერ კიდევ ელოდება „გულებს განიარაღებას“, როგორც ეს განაცხადა რომის პაპმა ფრანცისკემ.

Awenire, 12 აპრილი, 2023 წ.

## უნივერსიტეტის პირველი ოცი წლის იუბილე შეხვედრის მონაწილეთა შთაბეჭდილებანი



### ვაჟა ვარდიძე - ვიზიტის მნიშვნელობა ჩემთვის და ჩვენი საქმიანობისათვის

როგორ უნდა ავეუხსნა ამ ვიზიტის მნიშვნელობა ადამიანს, რომლისთვისაც, შესაძლოა, არც სულიერი ავტორიტეტი არსებობს და რწმენის გამოცდილებაც უცხოა? რომის პაპთან ვიზიტი განსაკუთრებული რომ არის, ალბათ ბევრისთვის ძნელი ასახსნელი არ უნდა იყოს და, შესაძლოა, მავანი კიდევ თავისებურად, საკუთარ ღირებულებით ჭრილში ხედავდეს ამ განსაკუთრებულობას. ახლა არ მსურს ყურადღება გავამახვილო პაპთან პირადი აუდიენციის ინდივიდუალურ გამოცდილებასა და სულიერ თანაზიარებაზე, რამეთუ ალბათ გარკვეულ მედიტაციებამდე მიბიძგებდა ამ შეხვედრის სულიერი განზომილების ჩვენება. შევჩერდები მხოლოდ გარე ფაქტორზე, რომელიც ნამდვილად საყურადღებოა.

თუკი გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მსოფლიოში ათასზე მეტი კათოლიკური უნივერსიტეტი არსებობს, პაპის ჩვენთან შეხვედრა ჩვენი საქმიანობის აღიარებაა, საქმიანობისა, რომლის მნიშვნელობა არსებული კონტექსტით ყალიბდება. თუმცა, ზემოთ დასმული კითხვის გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ მინდა დავსვა კითხვა, რა არის ეს განსაკუთრებული კონ-

ტექსტი, რომელიც მსოფლიოს სხვა კონტექსტებიდან გამოარჩევს?

მონვეული სტუმრებისადმი პაპის მცირე მიმართვა დიდი მესიჯის მატარებელია, ისევე როგორც თვით ეს ჩვენი ვიზიტი ვატიკანში. პაპის სიტყვაც და მასპინძლობაც მეტს ამბობს, ვიდრე ხაზგასმა საბაუნის მიერ ბოლო 20 წლის განმავლობაში მიღწეული მრავალი წარმატებისა. მსგავსი, და იქნებ მეტი, აკადემიური წარმატება სხვა უნივერსიტეტების შემთხვევაშიც შეიძლება ჩამოითვალოს და ამის მაგალითები ბევრია, მაგრამ პირად აუდიენციაზე მცირეს თუ იხილავთ. და მაინც, რა არის ეს მეტი, რომელიც მესიჯია არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ მთელი სამყაროსთვის, სამყაროსთვის, რადგან ამ ვიზიტის შესახებ ვატიკანის მედიის საშუალებით მთელმა მსოფლიომ გაიგო. ამის გამო მრავალი მოლოცვა და მონონებაც მივიღეთ.

დღეს ნათელია, რომ თანამედროვე მსოფლიო მოცულობის ტრენდულის, გავლენიანის, ამა ძლიერთა მზერით და მასში ხშირად იკარგება ის, რისთვისაც იესო მოვიდა და რაც მისი მთავარი სათქმელი იყო - ღვთისა და მოყვასის სიყვარული, მარგინალიზებულისადმი, გარიყულებისადმი ყურადღება და უმცირესობისათვის მსახურება, რაც ღვთის სასუფევლის დადგომის

ნიშანია. ეს მესიჯი, პაპის ჩვენდამი მომართული სიტყვის ფონზე, იძენს კიდევ უფრო სხვა კონტურს, რომელიც ღვთისა და მოყვასისადმი მსხურებას, უფრო პრაქტიკული და ამალღებული ფორმით, მომავლის ჰორიზონტს უხსნის.

ეს არის პაპის სიტყვის მთავარი სათქმელი, რომელიც მონოდებაა სინათლის გადაცემისაკენ. შემთხვევითიც არ იყო წმიდა მამის მიერ ილია მართლის ხსენება, რომლის ისტორიული ღვანლი სწორედ ერში ნათელის გავრცელებით დამკვიდრდა. ეს ზემოთ ხსენებული „მეტი“ გულისხმობს განსაკუთრებულს, შორეულს, იქნებ გარიყულსაც, საჭიროების მქონესაც, რომელიც დაცული, შემონახული და გაფრთხილებული უნდა იყოს. პატარასაც შეუძლია დიდი საქმის კეთება და დიდთა შორის პატარასაც აქვს ბევრი სათქმელი. ეს სათქმელი ჩვენ უნდა მივიტანოთ ყველგან და ამის გაცნობიერება არის ამ ვიზიტის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ასე უბრალოდ, თავისთავად არ არსებობს, არამედ მხოლოდ სიცოცხლისუნარიანობითა და შედეგიანობით მონმდება. უნივერსიტეტისდმი მონოდება მიმართულია აგრეთვე მთელი სამყაროსადმი, რათა სინათლის გადაცემით ნათელმა დაისადგუროს მთელ ქვეყანაზე. საქართველოს კონტექსტიც ამის კარგი მაგალითია. ღვთის სადიდებელი საქმენი დიდია. დიდი კი უფლის თვალში მცირეა, ხოლო მცირედი - დიდი, რომელიც თავის სიდიადეს მცირედში ხედავს.

## შორენა პარუნაშვილი - შეხვედრა, რომელიც მთელი ცხოვრება მემახსოვრება

რომის პაპთან შეხვედრა ერთ-ერთია იმ მნიშვნელოვან მოვლენათაგან, რომელიც მთელი ცხოვრება გვახსოვს. ჩემთვის ეს შეხვედრა ორმხრივად მნიშვნელოვანი იყო: როგორც კათოლიკესთვის და როგორც საბაუნის წარმომადგენლისთვის. როგორც კათოლიკესთვის, ეს იყო სულიერ წინამძღოლთან შეხვედრა; გავბედავ და ვიტყვი, მქონდა შეგრძნება, რომ შევხვდი დიდი ხნის მონატრებულ ოჯახის წევრს, რომელსაც ასე მონინებთა და სიყვარულით შევცქერით ხოლმე ტელეეკრანებიდან. მეორე მხრივ, როგორც საბაუნის წარმომადგენლისა და საქართველოს რიგითი მოქალაქისთვის, ეს იყო უდიდესი აღიარების მომენტი, რაც კარგად გამოჩნდა პაპის ჩვენდამი მიმართვაში. ძალიან სასიამოვნო იყო წმიდა მამის მხრიდან ჩვენი ქვეყნის ისტორიის ცოდნა და, ასევე, უნივერსიტეტის როლის სწორად წარმოჩენა. შთამბეჭდავი აღმოჩნდა



უმაღლეს პონტიფექსთან პირად აუდიენციაზე ყოფნა, სადაც მხოლოდ საბაუნის წევრები ვიყავით და მისი მეტად საინტერესო მიმართვაც სწორედ ჩვენთვის იყო განკუთვნილი. პაპის სიტყვამ, განსაკუთრებით უნივერსიტეტის მნიშვნელობაზე წარმოთქმულმა, უკეთესად დამანახა ჩემი როლი და პასუხისმგებლობა საბაუნში. ნახევარსაათიანმა შეხვედრამ თვალის დახამხამებაში ჩაიარა, ისე რომ, ბოლომდე ვერც გავიანზრე, სად ვიყავი. ახლა, რაც დრო გადის, მით უფრო მეტად ვაანალიზებ ამ შეხვედრის მნიშვნელობასა და სიდიადეს. არასოდეს დამავინწყდება რომის პაპ ფრანცისკეს თბილი და სიყვარულით სავსე თვალეები, როდესაც ხელი ჩამომართვა. ბედნიერი ვარ, რომ მქონდა პატივი, ამ პირად აუდიენციაზე ოჯახის წევრებთან ერთად ვყოფილიყავი და მიგველო პაპის კურთხევა.

ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას ვუხვდი ამ შესანიშნავი ვიზიტის ორგანიზატორებს, უნივერსიტეტის ამჟამინდელ და წინა რექტორებს, მამა აკაკი ჭელიძესა და ვაჟა ვარდიძეს, ასევე, განსაკუთრებული მადლობა წმ. საყდრის ელჩს საქართველოში, მთავარეპისკოპოს ჟოზე აველინო ბეტენკურს, რომლის უდიდესი მხარდაჭერის გარეშე ალბათ რთული იქნებოდა ამ ვიზიტის განხორციელება.

## ციცინო ხითარიშვილი - რომაული შთაბეჭდილებები

როდესაც უნივერსიტეტის 20 წლის იუბილეს აღსანიშნავად რომში პაპთან ვიზიტი დაიგეგმა, არცკი მიფიქრია, რომ მეც შემეძლებოდა, ეს ბედნიერება გამეზიარებინა. პანდემიის გამო ვიზიტმა თითქმის ორი წლით გადაინია და ისევ აქტუალური გახდა ეს საკითხი.

ცხოვრებაში ალბათ ყველასთვის დგება დაუვიწყარი და დასამახსოვრებელი ბედნიერი

დღეები. მოულოდნელად ჩემთვისაც დადგა ასეთი დღე და მეც აღმოვჩნდი რომში წამსვლელთა სიაში; ეს იმდენად მოულოდნელი და სასიხარულო იყო, რომ ცრემლების გარეშე მადლობის თქმა ვერ მოვახერხე. უნივერსიტეტს დაარსების დღიდან მოვყვები და ჩემს მშობლიურ სახლად აღვიქვამ, მისი ბევრი წარმატების მომსწრე და მონაწილე ვარ, ბევრი სიხარული განმიცდია, მაგრამ ასეთი ბედნიერი და სასიხარულო დღე ალბათ ძალიან ცოტა მეგულება. ამისთვის დიდი მადლობა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას.

რომში განცდილ შთაბეჭდილებებზე საუბარი ადვილი არ არის, წმ. პეტრეს ბაზილიკა, გრანდიოზული ტაძრები, საოცარი არქიტექტურის შენობები, ვატიკანის მუზეუმი... მიქელანჯელოს, რაფაელისა და სხვა დიდი კორიფეების ქანდაკებები და ფერწერული ტილოები... კოლიზეუმი, წმ. პავლეს ტაძარი გალავანს მიღმა, წმიდა პეტრეს ტაძარში მეუფე ჯუზეპეს მიერ აღვლენილი წმ. ნირვა... შთაბეჭდილებებით ისე ხარ აღვსილი, რომ დაღლასაც ვერ გრძნობ, მიყვები ხალხის უსასრულო ნაკადს (ალბათ ვატიკანსა და რომში ყოველდღე ასეთი სურათია) და ვერ იჯერებ, რომ ეს ყველაფერი ადამიანის ხელმა შექმნა. წმ. პეტრეს სამარხში ჩასასვლელად არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი რამდენიმე მნიშვნელოვანი ფენა გავიარეთ, ფიქრებმა პირველი საუკუნის ქრისტიანებთან გადამიყვანა... როგორ სწამდათ, როგორი ძლიერები იყვნენ... წმ. პეტრეს სამარხთან, სადაც მისი ძვლების ნაწილია მოთავსებული, ლოცვით შევევედრე უფალს ჩემი სამშობლოსთვის, უნივერსიტეტისთვის, მსოფლიოსთვის, ჩემი ოჯახისა და ჩემთვის ძვირფასი მიცვალებულებისთვის.

რომში ჩვენი ვიზიტის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი წმიდა მამასთან შეხვედრა იყო. ალბათ მსოფლიოში თითზე ჩამოსათვლელიც კი არ იქნება ის უნივერსიტეტები, რომლებსაც პაპთან პირადად შეხვედრის შესაძლებლობა მიეცათ. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტს კი წილად ხვდა ბედნიერება, მისთვის პირადად ემასპინძლა რომის პაპს. წმიდა მამამ, უპირველესად, ხაზი გაუსვა განათლების მნიშვნელობას: „ქართულ ენაში ტერმინი „educazione“ („აღზრდა“) უღერს როგორც განათლება. ეს ძალზე საინტერესოა, რადგან მომდინარეობს სიტყვიდან „ნათელი“ და გულისხმობს უვიცობის წყვედიდან ცოდნის სინათლისკენ სვლას“... „ქართულ ენაში სიტყვა „ნათელი“ ფუძეა როგორც სიტყვისა „განათლება“, ასევე - სიტყვისა „ნათ-

ლობა“, რაც ერთმანეთთან ანათესავებს კულტურასა და რწმენას“. პაპს არც ჩვენი წართმეული ტერიტორიები დავინყებია: „არ მავინყდება ის მიწები, რომლებიც ჯერ კიდევ წართმეული გაქვთ“. საოცარი განცდა გეუფლება, როდესაც ხვდები, რომ პაპს არ დავინყებია საქართველო, მისი წარსული, გესაუბრება, როგორც თანასწორს, მას არ სურს, რომ ხელზე ეამბორო, მის წინ თავი დახარო, ხელს გართმევს, თბილი, მოსიყვარულე, მამობრივი, მზრუნველი ღიმილით გიმზერს და გესაუბრება გულშიჩამწვდომი ხმით, ბოლოს კი გთხოვს: „მომიხსენიეთ თქვენს ლოცვებში“.



ჩემთვის კიდევ ერთი ამაღლევებული მომენტი იყო მამა კარლოსთან (ქუთაისისა და ახალშენის ყოფილი მოძღვარი, ამჟამად რომში ეწევა მსახურებას) შეხვედრა. ჩემდა სასიხარულოდ, მამა კარლოს ქართული კარგად ახსოვდა. ცრემლების გარეშე ვერცერთმა გავიხსენეთ წარსულის მომენტები. არ დაიჯერა, როდესაც ვუთხარი, რომ ახალშენში ახსოვდათ და ენატრებოდით. დამშვიდობებისას მოკითხვა დამაბარა ყველა ახალშენელთან.

რომში მიღებული შთაბეჭდილებები და განცდები ალბათ მრავალ წელს გამყვება და სიცოცხლის ბოლომდე მემასხსოვრება.

### ქეთი პლაჭიაშვილი - რომის პაერი

ისტორიის ფურცლებში ჩატეული ქრისტეს შობამდე ამბები ბავშვობაშივე აღმაფრთოვანებდა. ანტიკური სამყაროს შესახებ მიღებული ინფორმაცია სკოლის ბიბლიოთეკიდან თუ ბებიის დიდ ენციკლოპედიებში ამოკითხული თავბრუდამხვევი თავგადასავლები, იმპერატორების, სენატორებისა და გლადიატორების დასამახსოვრებელი ფიგურებით, წარმოსახვაში ყოველთვის



რომის ჩემუელ ხედვას ქმნიდნენ. სამართლის ისტორიის საფუძვლებში მიგნებული თანამედროვეობის უწყვეტი კავშირი რომაულ სამართალთან უფრო აღრმავებდა ჩემს ინტერესს ქვეყნის მიმართ, რომელმაც, სხვა რამდენიმე ქვეყანასთან ერთად, კაცობრიობას ისტორია შეუქმნა. ქრისტეს შობის შემდეგ კი რომი აღარ არის მხოლოდ ისტორია, ის რწმენის დიდი კარიბჭეა, რომელიც დღემდე მდგრად დგას ქრისტიანობის სადარაჯოზე. სწორედ ამ მოსაზრებებით მოვხვდი ქალაქში, რომელიც უნდა ნახო, რომ მიხვდე, რამდენად ცოცხალია ისტორია, რომელიც ოდესღაც ფურცლებზე წაგიკითხავს.

მე ვნახე რომი... შთაბეჭდილებები კი ჯერ ისევ იღექებოდა ჩემი მეხსიერების კუნჭულებში. კოლიზეუმმა ანტიკური სცენები გამიცოცხლა და ისტორიისადმი სიყვარული გამოიჩინა. აკროპოლისის კედლებმა კი, რომლებიც საკუთარი თითებით საგულდაგულოდ შემოვიარე, ჩემი ცნობიერი სამყაროსთვის ახალი მამოძრავებელი საკვები შექმნეს. პირველ ქრისტიანთა თავგანწირვის ისტორია, რომელიც უძველესი ტაძრების ხილვის პარალელურად მოვისმინე, ჩემი რწმენის რენესანსის საფუძველი გახდა. თანამედროვე სამყაროში, სადაც რელიგიისა და რწმენის თავისუფლება ფურცელზე დაწერილი მაინც გვაქვს, გვიჭირს ის, რაც ამ უფლების არარსებობის პირობებში, დევნისა და სიცოცხლის დათმობის ფასადაც არ უჭირდათ პირველ ქრისტიანებს. ჩვენ, ადამიანებს, ჯერ ხომ იმაში გაგვიმართლა, რომ გვყავს უფალი, ვინც მუდ-

მივად გვაჩვენებს, ვინ შეიძლება გავხდეთ. მერე გვყავს ქრისტე, რომელმაც გვიჩვენა, ვინ უნდა ვიყოთ და პირველი ქრისტიანები, რომლებმაც გვასწავლეს, როგორ ჰგავდეს სასწაულებს ჩვენი თვითმყოფადობა.

უზარმაზარ ტაძრებს მიშტერებული მზერა... ადამიანის შემოქმედებით აღფრთოვანებული თვალები, რომლებიც ხარბად ფართოვდებოდნენ ახალი სასწაულების დანახვისას. ენერჯის განახლებისა და ბალანსის დაცვის საფუძვლად გადაქცეული ჰაერის მოტანილი ფიქრები, რომ ეს სამყარო ძალიან, ძალიან მშვენიერია. ტაძარში მოულოდნელად, გალობით მოტანილი სიმყუდროვე, სითბოთი გაჟღენთილი ბგერები. იქვე, მრავლად მოსიარულე ხალხის ხმაურის მიუხედავად, გონებაში მიგნებული სიმშვიდისა და სიჩუმის შეგრძნება და უსაზღვრო მადლიერების გრძნობით შეპყრობილი წამები. თითქოს შენ ისევ ჩაისუნთქე სუფთა ჰაერი, რომელმაც ფილტვები გაჟღინთა რწმენითა და სიყვარულით. რა კარგია, რომ გვყავს უფალი, ვინც სამყაროს ამთელებს და მასში გვკარგავს. პეტრეს ქანდაკების ნახვის მოლოდინში შემოვლილი ტაძრები, უამრავი წმინდა ადგილი, ხელოვნების უკვდავი ნიმუშები და ხატები. მათგან მომავალი ნათება, რომელიც გატყვევებს და გნუსხავს, უკვალოდ ვერ ჩაივლის, ის სამუდამოდ დარჩება და რაღაც განსაკუთრებულის საფუძველი გახდება. უთენია ვატიკანისკენ აღებული გეზი, იქ ისტორიული შეხვედრისთვის მზადება. გაუცნობიერებლად გაღიმებული თვალები, უშუალოდ ნიშნად ჩამორთმეული ხელი უცნობ ადამიანთან, რომლის მოსაზრებებზეც ქრისტიანობა თანამედროვეობაში ვლინდება და იზრდება. ჩვენი მოძღვრებისგან ქრისტიანად მოქცევის საოცარი მაგალითები, თავმდაბლობისა და უბრალოების ქრისტესეული გამოვლინება და უთვალავი ნაბიჯი; ნაბიჯები პეტრემდე, იქ, სადაც კაცი, ვინც ნეკროპოლისის კედლებზე ასახულ საუკუნეების ამბებს ზედმიწევნით გასაზიარებლად გაუჩერებლივ გვიყვებოდა, გაჩუმდა და დაგვტოვა, დაგვტოვა პეტრესთან სასაუბროდ (პეტრეს საფლავთან, მის ძვლებთან).

დასასრული, დასაწყისი „საბა“ #4 (328)

## მოხალისეობის გამოფენა-ფორუმი

7 აპრილს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში (Georgian National University-SEU) ყოველწლიური მოხალისეობის გამოფენა-ფორუმი გაიმართა. ღონისძიებას რამდენიმე წლის წინ ჩაეყარა საფუძველი მშვიდობის კორპუსის მოხალისეების მხარდაჭერით; მისი მიზანია მოხალისეობის, როგორც დემოკრატიული საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი მძლავრი მექანიზმის, პოპულარიზაცია და ახალგაზრდებისა და, ზოგადად, მოქალაქეების მოხალისეობრივ პროგრამებში აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა.

ყოველწლიურად გამოფენა-ფორუმში მონაწილეობს ორმოცამდე სამოქალაქო ორგანიზაცია, რომლებიც ემსახურებიან ახალგაზრდების გაძლიერებას, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, მზრუნველობას მოკლებულ და მიუსაფარ ბავშვებს,

უსინათლოებს, სხვადასხვა საჭიროებების მქონე ადამიანებს და ა.შ. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო კონკრეტული პროგრამები, სადაც მოხალისეობის მსურველებს, მათ შორის, სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებს, შეეძლოთ დარეგისტრირება და მოხალისეობრივ საქმიანობებში ჩართვა.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კარიტასმაც და მისი პროგრამის - Volunteering in Caritas Georgia/მოხალისეობა საქართველოს კარიტასში მიხედვით შედგა მიმდინარე აქტივობების და ჩვენი ამჟამინდელი მოხალისეების პრეზენტაცია. გვინდა სიამაყით აღვნიშნოთ, რომ ძალიან ბევრი ახალგაზრდა დაინტერესდა ჩვენი პროგრამით და საქართველოს კარიტასის მოხალისეთა რიგებს შეუერთდა.

მარიამ აფრინაშვილი



## კლოდ ლაფორტუნის ხსოვნისადმი: სახარება, ხელოვნება და ბავშვები



კანადელი მხატვარი კლოდ ლაფორტუნი, რომელიც ეროვნულ ტელევიზიაში უძღვებოდა ევანგელისტურ გადაცემებს ბავშვებისთვის, 2020 წლის 10 აპრილს გარდაიცვალა კორონავირუსის ინფექციის გართულებით. ის 83 წლის იყო.

კლოდ ლაფორტუნი (Claude Lafortune) დაიბადა 1936 წელს მონრეალში; იგი ეკუთვნოდა იმ თაობას, რომლის წარმომადგენელიც იყო ცნობილი მისტერ როჯერსი (ფრედ მაკფილი როჯერსი, ცნობილი ამერიკელი ტელენამყვანი, თოჯინების ოსტატი და მუსიკოსი, პრესვიტერიანული ეკლესიის მქადაგებელი, რომელიც უძღვებოდა საბავშვო გადაცემას ტელევიზიაში; მან აღზარდა ამერიკელების რამდენიმე თაობა), რომელთანაც მას ხშირად ადარებდნენ და აღნიშნავდნენ, რომ იგი ბავშვებს ისეთივე პატივისცემით ეპყრობოდა, როგორც როჯერსი. კლოდ ლაფორტუნმა, რომელიც მაკრატლის ნამდვილი ვირტუოზი იყო, ქალაქისგან ფიგურების გაკეთება ჭეშმარიტ ხელოვნებად აქცია. მან შექმნა მრავალი შესანიშნავი პერსონაჟი, რომელთაგან ბევრი შთაგონებული იყო ბიბლიური

მოთხრობებით ან კვებეკის რელიგიური ისტორიით. კლოდმა საკუთარ თავს „ქალაქის მოქანდაკე“ უწოდა.

თავისი კარიერის განმავლობაში ლაფორტუნი მონაწილეობდა ეროვნული ტელევიზიის მრავალ საბავშვო გადაცემაში. მაგრამ ნამდვილი აღიარება მან მაშინ მოიპოვა, როდესაც შექმნა პროგრამა „სახარება ქალაქისგან“ („L’Evangile en papier“), სადაც იგი იყენებდა ფიგურებსა და დეკორაციებს, რომელიც თავადვე გააკეთა ჩვეულებრივი კრაფტის (შესაფუთი) ქალაქისგან და მოუთხრობდა იესოსა და ახალი აღთქმის შესახებ. შოუ ეთერში გადაიცემოდა 1975-1976 წლებში და მან მაყურებლის მესხიერებაში ღრმა კვალი დატოვა.

1976-1978 წლებში ლაფორტუნმა შექმნა პროგრამები „ბიბლია ქალაქისგან“ და „ეკლესია ქალაქისგან“. კლოდის ყველაზე ხანგრძლივი პროგრამა იყო „მზის კურდღლები“ („Parcelles de soleil“), რომელიც გადაიცემოდა 1988-2000 წლებში. ნამყვანმა ბავშვები მიიწვია თავის გადაცემაში და ისინი ერთად ქმნიდნენ ქალაქისგან ხელოვნების ნამდვილ ნიმუშებს, შთაგონებულს სახარებისეული ღირებულებებით.



კლოდ ლაფორტუნი, თავისი თანამოაზრის, ჰენრიეტა მაჟორის (Henriette Major) დახმარებით, ამრავალფეროვნებს პროგრამებს, წიგნებსა და თეატრალურ დეკორაციებს. კლოდის ქალაქის ქანდაკებები მისი ყველა ნამუშევრის მთავარი ღირსშესანიშნაობაა.

„მამაჩემის თვალში ყოველი ადამიანი იყო უნიკალური და ძალზე მნიშვნელოვანი, ყველაფერზე მნიშვნელოვანი, - აღნიშნავს მისი ვაჟი ფრანსუა ლაფორტუნი, - და ეს არის სწორედ ის ღირებულება, რომელსაც მამაჩემი ამოწმებდა მთელი თავისი საქმითა და ცხოვრებით. ის იყო, უწინარესად, მხატვარი და მუდამ ცდილობდა, გამოეხატა თავისი ღირებულებები ხელოვნების საშუალებით“.

კლოდ ლაფორტუნი პნევმონის დიაგნოზით საავადმყოფოში გადაიყვანეს. იგი COVID-19-ით დასნეულდა და, უკვე დასუსტებულმა, დაავადება ვეღარ დაძლია.

25 წლის განმავლობაში კლოდი იყო სენ-ჟან-მონრეალის ეპარქიის საკრალური ხელოვნების კომიტეტის წევრი. შობის დღესასწაულზე მან ქალაქისგან შექმნა საშობაო ბაგის უზარმაზარი კომპოზიცია წმ. ანტონ პადუელის ტაძრისთვის.

ლაფორტუნი კანადის სახვითი ხელოვნების გამოჩენილ ფიგურას წარმოადგენდა სიცოცხლის უკანასკნელ წლებშიც. 2018 წლის თებერვალში ნიკოლეტისა და კვებეკის მსოფლიო რელიგიების მუზეუმში გაიხსნა ნოეს კიდობნის შესახებ მისი ნამუშევრის გამოფენა, რომელიც გაგრძელდა 2019 წლის მარტამდე. ხოლო გამოფენა სახელწოდებით - „წებო, ქალაქი, მაკრატელი“ რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა კვებეკის პროვინციის სხვადასხვა ქალაქში.


2020 წლის იანვარში, მონრეალის წმიდა ქალწულის კონგრეგაციის დამაარსებლის, წმიდა მარგარიტა ბურჟუას (Marguerite Bourgeoys - ფრანგი მონაზონი, პირველი კანადელი წმიდანი ქალი) 400 წლის იუბილის აღსანიშნავად, ლაფორტუნმა შექმნა ქანდაკება: წმ. მარგარიტა გაბედულად ხვდება ქარბუქს.

2019 წლის მაისში კვებეკის უნივერსიტეტმა მას საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა „კვებეკში და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სახვითი ხელოვნების განვითარებასა და სწავლებაში მისი განსაკუთრებული წვლილისთვის“.

კლოდ ლაფორტუნის მრავალი ნამუშევარი გამოყენებულია საბავშვო წიგნებში საილუსტრაციოდ.



## რვა მზაკვრული ფიქრი ევბრე კონტოელის მიხედვით



ევაგრე პონტოელი არის ქრისტიანული ასკეტურ-მისტიკური მწერლობის ერთ-ერთი უძველესი წარმომადგენელი, მე-4 საუკუნის მეორე ნახევრის საეკლესიო მწერალი და გამოჩენილი მოღვაწე. იგი დაიბადა 346 წელს, რომის იმპერიის, პონტოს პროვინციის ქალაქ ებორაში (ამჟამად ჩრდილოეთ თურქეთი), ადგილობრივი მღვდლის შეძლებულ ოჯახში. სწავლებას კაბადოკიის კესარიასში გადიოდა, რიტორიკული განათლება კი ცნობილმა ფილოსოფოსმა ლიბანიუსმა მისცა. ევაგრეს შრომები ძირითადად ეხებოდა ბერმონაზვნურ ცხოვრებას; იგი საუბრობს რვა მზაკვრული ფიქრის შესახებ, რომელიც საფუძვლად დაედო შვიდ მომაკვდინებელი ცოდვას.

### ნაყროვანება

ნაყროვანების გზას აყოლილ ადამიანებს სამყარო ეჩვენებათ ერთ უზარმაზარ კერძად, რომელიც უნდა მოიხმარონ. სამყარო მათთვის არ წარმოადგენს დახმარებას ხსნისაკენ მიმავალ გზაზე, არც უფლის არსებობის ხილულ ნიშანს, არამედ ისეთ რაღაცას, რაც უნდა მოინელონ, რაც მათ ეკუთვნით და რაც შეუძლიათ „საკვებად მოიხმარონ“. ასეთი ადამიანები გაუმაძღრობით იტანჯებიან, მათთვის მიღებული არასდროსაა საკმარისი და სულ დამატებას ითხოვენ. ამასთან, ნაყროვანების დემონი ბერს გადამეტებული ჭამისკენ პირდაპირ კი არ უბიძგებს, არამედ იმით აშინებს, რომ ზედმეტად ასკეტური ცხოვრებით შეიძლება ჯანმრთელობას ავნოს. ნებისმიერ შემთხვევაში, ნაყროვანების დემონთან სულიერი ბრძოლა ეხება

არა უშუალოდ ჭამას, არამედ კონცენტრირდება ჯანმრთელობასა და ფიზიკური თვითგადარჩენის სურვილზე.

### სიძვა

გავრცელებული შეხედულების მიუხედავად, სიძვისაკენ ყველაზე მეტად მიდრეკილი ახალგაზრდები კი არ არიან, არამედ, უწინარესად, ისინი, რომელთაც ეჩვენებათ, თითქოს მათი ცხოვრება დღითიდღე თვალსა და ხელს შუა გარბის: „სულ ცოტა ხანი დამრჩა, რამის შეცნობა რომ მოვასწო, მერე ამის შანსი აღარ მექნება“. მათთვის ცხოვრება ჰგავს საათის ხმამალალ ნიკნის, რომელიც შეახსენებს, რომ მათი დრო იწურება; ვფიქრობ, ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ სიძვა. ადამიანი იმპულსურად იღებს გადაწყვეტილებას, რაც მას სრულიად ბიოლოგიურ სურვილებზე დამოკიდებულს ხდის. სიძვა თავდაპირველად ფიქრებსა და წარმოსახვაში ჩნდება, რასაც შემდეგ ფიზიკური ცოდვის ჩადენა მოსდევს. სიძვასთან ბრძოლა რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე უნდა დაიწყო, სანამ ის ძლიერ ცდუნებად გადაიქცევა. ამრიგად, უნდა შევეცადოთ თავიდან ავიცილოთ სიტუაცია, რომელიც შეიძლება ცდუნების წყარო გახდეს. აქედან მოდის ბერის ასეთი რადიკალური დამოკიდებულება ქალებთან ყოველგვარ კონტაქტთან დაკავშირებით (ვლადიმერ ზატორსკი, Włodzimierz Zatorski); მამა გერონტიუსი პეტრადან აღნიშნავდა, რომ ბევრი მათგანი, ვინც ხორციელი სიამოვნებებით არის ცდუნებული, რყვნის არა ხორცს, არამედ სულს; ხორციელ უბინოებას ინარჩუნებს, სამაგიეროდ, სულს უწმინდურებაში აგდებს; „ამიტომ, საყვარელნო, კარგია შევასრულოთ ის, რაც დანერილია: რათა ყველა, უპირველეს ყოვლისა, თავის გულს გაუფრთხილდეს“ (მეუდაბნოეთა გამონათქვამები).

### ანგარება

ანგარებით შეპყრობილი ადამიანი ვერ ეგუება ამ ნუთისოფელში თავისი მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობას; ანგარება აიძულებს მას, მოიქცეს ისე, თითქოს მისი „შიმშილი“ უნდა დაკმაყოფილდეს აქ და ამჟამად და ამის მისაღწევად ყველაფერზეა წამსვლელი, თუნდაც სხვისი სიცოცხლის ხელყოფა მოუწიოს. ამ დროს იგი თავს ველარ აკონტროლებს. ყოველი დაკმაყოფილებული მოთხოვნილება გზას უსხნის მომდევნოს, შემდეგ კი მოთხოვნილება უფრო და უფრო ძლიერდება. ფაქტობრივად, ეს პროცესი შეიძლება

უსასრულობამდე გაგრძელდეს. ანგარების დემონი ადამიანს უბიძგებს არა იმდენად ფული-სა თუ სხვა მატერიალური საშუალებების მოპოვებისაკენ, რამდენადაც აშინებს იმით, რომ ხანდაზმულობის ჟამს, როცა ის დაუძღურდება და მუშაობას ველარ შეძლებს, სიღარიბეში ცხოვრება მოუწევს. ამიტომ მასში ჩნდება შიმშილის, სხვა ადამიანებზე დამოკიდებულებისა და რაიმეს გაკეთების შეუძლებლობის გრძობა. „ეს საშინელი და დაუოკებელი ვნება, როგორც არის ანგარება, ვერასდროს ვერ გაძლება და ამ მახეში გამომწყვდეულ სულს საბოლოო დაღუპვა მოეღოს; ამიტომ თავიდანვე აუცილებელია განვდევნოთ იგი, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმხელა ძალას მოიკრებს, რომ ადრე თუ გვიან დაუმარცხებელ მტრად იქცევა“ (მეუდაბნოეთა გამონათქვამები).

### მედიდურობა

მედიდურობას ადამიანი საბოლოოდ მიჰყავს სასონარკვეთამდე, უძღურებამდე, რადგან ადრე თუ გვიან ის აცნობიერებს, რომ საკუთარ და სხვათა მანკიერებებს თავისით ვერ გაუმკლავდება. ამიტომ თავს უფრო გაუსაძლისი შრომისკენ უბიძგებს, მაგრამ ეს არის არა შრომისმოყვარეობა, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, არამედ უფრო ჰგავს სიზიფეს შრომას, რომელიც თავისთავშივე უშედეგოა. რაც უფრო მეტს ცდილობს ადამიანი, რაც უფრო მეტად ირჯება, მით უფრო იაზრებს, რომ ყველაფერს მაინც ვერ გაუმკლავდება. საბოლოოდ, მედიდურობის დემონი ათეისტად აქცევს ადამიანს; გვგგონია, რასაც სულიერებაში მივალწიეთ, მხოლოდ ჩვენი დამსახურებაა, რომ სხვები ჩვენზე უარესები არიან, ვერ ამჩნევენ ჩვენს განსაკუთრებულობას, რაც ინვევს მწუხარებასა და მრისხანებას. ერთმა ძმამ ჰკითხა მამა რუფუსს: „რა არის მოსვენება (hesychia) და რა სარგებელი მოაქვს მას?“ ბერმა მიუგო: „მოსვენება ნიშნავს ცხოვრობდე კელიაში, გემინოდეს და იცნობდე ღმერთს, ემიჯნებოდე შურისძიებასა და მედიდურობას. ასეთი მოსვენება ყველა ღირსების დედაა, რომელიც ბერს მტრის ცეცხლოვანი ისრებისგან იცავს და არ აძლევს საშუალებას, ჭრილობები მიაყენოს მას. ასეა, ძმაო, ამას ეძიებდე და გახსოვდეს, რომ არ იცი, თუ რომელ საათზე მოგაკითხავს სიკვდილი. ამრიგად, იზრუნე საკუთარ სულზე“.

გამრძელები იქნება

## კათოლიკე ახალგაზრდების საერთო შეხვედრა

საქართველოს კათოლიკე ახალგაზრდების ცენტრის ორგანიზებით, 1-2 აპრილს წეროვანის მომლოცველთა სახლში გაიმართა საერთო ახალგაზრდული შეხვედრა, სადაც სხვადასხვა სამრევლოს ახალგაზრდები შემოგვიერთდნენ. შეხვედრის თემა იყო „ადგა მარიამი და გაეშურა“. შეხვედრის ძირითად მიზანს კი ახალგაზრდების გაცნობა/დაახლოება, ასევე, წლის განმავლობაში კათოლიკურ სამრევლოებში შეთავაზებული აქტივობების გაცნობა და მსოფლიო ახალგაზრდული დღეებისათვის მზადება წარმოადგენდა.

შეხვედრა მეუფე ჯუზეპე პაზოტომ გახსნა. მან ისაუბრა ახალგაზრდულ ერთიანობაზე, მსოფლიო ახალგაზრდული დღეების საწყისებზე და აქცენტი გააკეთა მსოფლიო ახალგაზრდულ შეხვედრაზე, რომელიც წელს, აგვისტოში, პორტუგალიაში გაიმართება; მასში მონაწილეობისთვის საქართველოდან ორმოცი ახალგაზრდა გაემგზავრება.

გარდა ეპისკოპოსისა, შეხვედრის მთავარ თემაზე ახალგაზრდებს საკათედრო ტაძრის წინამძღვარი, მამა ზურაბ კაკაჩიშვილი ესაუბრა. მოძღვარმა განიხილა მსოფლიო ახალგაზრდული დღეების დევიზი - „ადგა მარიამი და გაეშურა“ და განმარტა, რომ მარიამის ამ ქმედებაში ღვთის უპირობო სიყვარულია...

შეხვედრის შემდეგი ნაწილი დაეთმო თემას -

„აღდგომა ჩვენში“. სულიერ ნაწილს ვალეს სამრევლოს წინამძღვარი, მამა მიხეილ სურმავა წარუძღვა, შემდეგ კი ჯგუფური სამუშაოსა და მსჯელობისთვის მან ახალგაზრდებს აღდგომის შესახებ კითხვარი მოუმზადა, რასაც ახალგაზრდების სიღრმისეული ჩართულობა მოჰყვა.

ახალგაზრდებს ცენტრის მიერ დაგეგმილი 2023 წლის აქტივობები გააცნო ცენტრის სულიერმა მოძღვარმა, მამა ბექა ჩილინგარაშვილმა. მამა ლაშა მანუკიანმა ვრცლად ისაუბრა მსოფლიო ახალგაზრდული დღეების შესახებ. ახალგაზრდებთან ერთად იმყოფებოდნენ მამა მარეკ პუერესკი და მამა მიხალ იახი.

საღამოს ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს „ჯვრის გზაში“. ხოლო 2 აპრილს, ბზობის დღესასწაულზე - საკათედრო ტაძარში აღვლენილ წმინდა ნირვაში.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს კათოლიკე ახალგაზრდების ცენტრი, განახლებული შემადგენლობით, ამ წლის იანვრიდან განაგრძობს მუშაობას. მეუფე ჯუზეპე პაზოტოს გადამწყვეტილებით, ახალგაზრდული ცენტრის სულიერი მოძღვარი და ხელმძღვანელია მამა ბექა ჩილინგარაშვილი, თანამშრომლებთან, პავლე ხითაროვთან და თამარ ზაქროშვილთან, ერთად.

საქართველოს კათოლიკე ახალგაზრდების ცენტრი



# ფრანგული „რელიგიური“ ტაბილაული

კათოლიკე ეკლესიას დიდი წვლილი მიუძღვის მეღვინეობისა და ყველის წარმოების განვითარებაში; მას არც ტკბილეული დავინწყებია. რა თქმა უნდა, პირველ რიგში, მონაზვნებმა გამოიგონეს „რელიგიური ტკბილეულის“ მრავალი სახეობა.

ტკბილეულის რელიგიური სახელწოდებები დამახასიათებელია არა მხოლოდ ფრანგული, არამედ იტალიური და, განსაკუთრებით, სიცილიური გასტრონომიისთვისაც.

„Sacristain“ - „საკრისტია“ (ლათ. sacristia, კათოლიკურ ეკლესიაში ოთახი, სადაც ინახება ღვთისმსახურებისთვის განკუთვნილი მღვდელთა შესამოსელი და საეკლესიო ჭურჭელი), საკონდიტრო ნაწარმი, დამზადებული ფენოვანი ცომისაგან, რომელსაც გრეხილი ჩხირის ფორმა აქვს და დაფარულია თხილითა და შაქრით.



ინგრედიენტები ნუშის „საკრისტიის“ დასამზადებლად (sacristains aux amandes):

- 250 გრ. ფენოვანი ცომი
- 125 გრ. ფრანჟიპანის (frangipan-თხილის კრემი) კრემი
- 1 კვერცხი
- 100 გრ. შაქრის ფხვნილი
- 100 გრ. გახეხილი ნუში

სკატი“, დაარსდა 1789 წელს, სახელწოდებით „ფრასკატის ბაღები“ („Frascati Gardens“). კაფე „ფრასკატი“, რომელიც არაერთხელაა ნახსენები ბალზაკის რომანებში, დაიხურა, ხოლო შენობა, სადაც ის იყო განთავსებული, 1857 წელს დაანგრიეს. ფრანგული კულინარიის ისტორიკოსი პიერ ლაკამი (Pierre Lacam) თავის წიგნში „Mémorial historique et géographique de la pâtisserie“ („ისტორიული და გეოგრაფიული კვლევა ნამცხვრების შესახებ“, გამოქვეყნდა 1895 წელს) წერს, რომ სწორედ ამ კაფეში გამოიგონეს ნამცხვარი „Religieuse“ - „მონაზონი“. ის შედგება ერთმანეთზე განთავსებული ორი ბურთისაგან, ზედა ნაწილი, რომელიც ზომით ორჯერ მცირეა ქვედაზე, განასახიერებს მონაზვნის თავს.



„Jésuite“ - „იეზუიტი“, ფრანგული საკონდიტრო ნაწარმი, სამკუთხა ფორმის, მზადდება ფენოვანი ცომისაგან, ნუშის კრემის შიგთავსით, დაფარულია მინაქრით. მას ასე იმიტომ ეწოდა, რომ იეზუიტთა ორდენის წევრები წინათ სამკუთხა ქუდებს ატარებდნენ.

რაც შეეხება „ფრანჟიპანის“ კრემს, მისი მომზადება შესაძლებელია დიდი ფრანგი კულინარის, თანამედროვე ფრანგული სამზარეულოს ფუძემდებლის, ოგიუსტ ესკოფიეს (Georges Auguste Escoffier) რეცეპტით: „მოათავსეთ ქვაბში ოთხი უნცია გაცრილი ფქვილი, ოთხი კვერცხის გული, ცოტა მარილი, პილპილი და მუსკატის კაკალი. შემდეგ თანდათან დაუმატეთ გამდნარი ნაღების კარაქი და გააზავეთ ნახევარი ლიტრი ადუღებული რძით. ეს ყველაფერი განურეთ საცერში, გააცხელებეთ ადუღებამდე, გააჩერეთ ცეცხლზე 5 წუთი, თან მოურიეთ, შემდეგ გააგრილეთ“.



„Religieuse“ - „მონაზონი“, ნამცხვარი კრემით, ჩვეულებრივ, შოკოლადით დაფარული. იგი ასოცირდება ცნობილ პარიზულ კაფესთან - „ფრა-

# ორი მგელი

ოდესლაც, დიდი ხნის წინ, მოხუცმა ინდიელმა თავის შვილიშვილს ერთი ამბავი მოუყვა.

– ყოველ ადამიანში ისეთივე ბრძოლა მიდის, როგორც ორ მგელს შორის შეიძლება მოხდეს. ერთი მგელი - ბოროტებას, შურს, ეგოიზმს, ამბიციას, ტყუილს... წარმოადგენს. მეორე - მშვიდობას, სიყვარულს, იმედს, თავაზიანობას, ჭეშმარიტებას, სიკეთესა და ერთგულებას.


პატარა ინდიელს ბაბუას სიტყვები სულის სიღრმემდე ჩასწვდა. ცოტა ხნით დაფიქრდა და შემდეგ ჰკითხა:

– ბოლოს რომელი მგელი იმარჯვებს?

მოხუცმა ინდიელმა გაიღიმა და უპასუხა:

– ყოველთვის იმარჯვებს ის მგელი, რომელსაც კვებავ, ასაზრდოებ.





**ენციკლიკის პირველი აუდიო-ჩანაწერი ქართულად!**

პაპი ფრანცისკეს ენციკლიკა “სიყვარულის სინხარული“ (**Amoris Laetitia**), ოჯახში სიყვარულზე, ცხოვრებისეული გამოცდილების ერთ საუბრობს. ნაშრომი მთელი ძალით შეგვაცნობს არა მხოლოდ ოჯახის „იდეალს“, არამედ მის მდიდარ და რთულ რეალობას. მისი გვერდები იმ ღია და ღრმად პოზიტიურ მზერას გვანვდიან, რომელიც არ იკვებება აბსტრაქტული ან იდეალური ხედვით, არამედ რეალობისადმი სასულიერო ყურადღებით. დოკუმენტი სავსეა სულიერი იდეებითა და პრაქტიკული სიბრძნით, რაც ყოვლად სასარგებლოა მეუღლეებისთვის ან გინდაც მათთვის, ვისაც ოჯახის შექმნა გადაუწყვეტია. უპირველეს ყოვლისა, ჩანს, რომ ეს იყო კონკრეტული გამოცდილების შედეგი იმ ადამიანებთან, რომლებმაც გამოცდილებით იციან, რა არის ოჯახი და მრავალი წლის განმავლობაში ერთად ცხოვრობდნენ.

გარნუმენტთ, რომ სასიამოვნო და საინტერესო მოსმენა გელით, ამისათვის მიმართეთ **YouTube** არხს (ლინკი: [https://youtu.be/66t\\_kgCNZXk](https://youtu.be/66t_kgCNZXk) **Amoris Laetitia** (თავი I, ქართულად), სადაც შეგიძლიათ მოუსმინოთ წიგნის **9** თავს და მიიღოთ ჯანსაღი სულიერი საკვები თქვენი ოჯახური ცხოვრებისთვის!

განკუთვნილია მღვდლების, ბერ-მონაზვნების, პასტორალური მუშაკების, კატეხისტები, მეუღლეებისა და ახალგაზრდებისთვის.

საინტერესო მოსმენას გისურვებთ!

## მილოცვა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა ქართული ენის დღესთან დაკავშირებით ქართველოლოგიაში შეგანილი წვლილისთვის დააჯილდოვა ენათმეცნიერები: მბეჭალა შანიძე, დამანა მელიქიშვილი და ქუქუნა ფეიქრიშვილი.

ჟურნალ „საბას“ რედაქცია ულოცავს ქალბატონ ქუქუნას, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორს, ამ დამსახურებულ ჯილდოს და უსურვებს ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და წარმატებებს სამეცნიერო საქმიანობაში.



# ფოტოკონკურსი

„კათოლიკე ახალგაზრდა საზღვრების გარეშე“



ყურადღება!

ახალგაზრდებო, ეს ფოტოკონკურსი თქვენთვისაა, ვისაც გიყვართ ფოტოების გადაღება.  
ფოტოკონკურსის თემა - „კათოლიკე ახალგაზრდა საზღვრების გარეშე.“

პირველი შესარჩევი ეტაპი - 31 მაისამდე თითოეულ სამრევლოში შეირჩევა ერთი საუკეთესო ფოტოსურათი.

მეორე ეტაპი - თითოეული სამრევლოდან შერჩეული ფოტოსურათებიდან გამოვლინდება სამი საუკეთესო.

ფინალურ რჩეული - შერჩეულ ფოტოსურათებს გამოვადექვეყნებთ ჩვენს ფინალურ გვერდზე და ყველაზე მეტი ლაიქის/რეაქციის მქონე ფოტო იქნება გამარჯვებული.

ფიურის რჩეული - ჩვენ მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე, სადაც მოხდება სამრევლოების რჩეული ფოტოების გამოფენა, გვეყოლება ფიური, რომელიც გამოაქვს თავის ფავორიტ ფოტოს.

დამსწრეთა რჩეული - არსებულ შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოება (ახალგაზრდები, სასულიერო პირები და სხვანი) ხმას მისცემს თავის რჩეულ ფოტოს და გამოვლინდება შესაბამე გამარჯვებული.

გამარჯვებულთათვის განკუთვნილი პრიზების შესახებ გაცნობებთ მოგვიანებით.

ყველას გისურვებთ წარმატებებს!

საქართველოს კათოლიკე ახალგაზრდების ცენტრი

სამაჩვიდლო კათოლიკე  
საზღვრების გარეშე

THE MONTHLY BULLETIN OF  
CATHOLIC YOUTH

# საბა

ISSN 2720-8001

ბიშვებამ რედაქტორი: შ. ვაჩიავლე პრეზენტორი CSS

სარედაქციო მისამართი: ს. ვაჩიავლე პრეზენტორი, ვაკე რაიონი, თბილისი, საქართველო

მისამართი: ვაჩიავლე პრეზენტორი, ვაკე რაიონი, თბილისი, საქართველო

მისამართი: ვაჩიავლე პრეზენტორი, ვაკე რაიონი, თბილისი, საქართველო

E-mail: saba.jurnal@gmail.com; რეგისტრაციის № 953, დარბაზი მანანა ანდრონიძის მურ 395 წელს, © „საბა“